

ეკონომიკური განვითარების დღის წესრიგის ფემინისტური ანალიზი: საერთაშორისო პროგრამები, სახელმწიფო პოლიტიკა და ქალების გამდიერება

ანა დიაკონიძე

1. შესავალი:

რატომ არის საჭირო ქალების ეკონომიკური გამდიერება?

ქალთა გამდიერების ბევრი განმარტება არსებობს და ბევრი მათგანი მიზანმიმართულად ერიდება ტერმინ “ძალაუფლების” გამოყენებას, თუმცა რეალურად, გამდიერებაზე საუბარი სწორედ იმის ფონზე დაიწყო, რომ ტრადიციულ, პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალსა და მამაკაცს შორის არსებული დიდი ძალაუფლებრივი უთანასწორობა შეემცირებინა. “გამდიერება” შეიძლება განვმარტოთ, როგორც საკუთარი შესაძლებლობებისა და ალტერნატივების ხელახალი განსაზღვრის საშუალება – შესაძლებლობა, გააკეთო ისეთი რამ, რის მიღწევაშიც თავადაც არ იყავი დარწმუნებული და ძალაუფლება, რომელიც მიიღება კუთვნილი სიკეთებისათვის კოლექტიურ ბრძოლაში (DAC Network on Gender equality¹).

ქალთა ეკონომიკური გამდიერების კონცეფცია გულისხმობს მათ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ და ამავდროულად, ისარგებლონ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის პროცესით. ამ პროცესში უნდა ხდებოდეს მათი ღირსებისა და შეტანილი წვლილის დაფასება და მონაწილეებს უნდა შეეძლოთ ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული სარგებლის უფრო სამართლიანი განაწილების თაობაზე მოლაპარაკება².

ქალთა ეკონომიკურ გამდიერებას, ერთი მხრივ, უფლებრივი განზომილება აქვს - იგი თავისთავადაა ღირებულება, როგორც გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვანი იარაღი. მეორე მხრივ კი აღსანიშნავია მისი ეკონომიკური განზომილებაც. არსებობს რიგი კვლევებისა, რომლებიც სწავლობენ კავშირს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ქალთა ეკონომიკურ გამდიერებას შორის. აღნიშნული კვლევებით დგინდება, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ამ ორს შორის ნამდვილად არსებობს. თუმცა, საინტერესოა კაუზალური კავშირის მიმართულება: ავტორთა ნაწილი

¹ <https://www.issuelab.org/resource/women-s-economic-empowerment-issues-paper.html>

² Women’s economic empowerment and inclusive growth: labour markets and enterprise development. DFID/IDRC. <https://www.idrc.ca/sites/default/files/sp/Documents%20EN/NK-WEE-Concept-Paper.pdf>

ამტკიცებს, რომ ეკონომიკურ განვითარებას ავტომატურად მივყავართ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებამდე³. ეს არგუმენტი არ მტკიცდება ემპირიულად: სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი აჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის მიუხედავად ქალთა მდგომარეობა საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *ეკონომიკური განვითარება არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ქალთა გაძლიერებისათვის*. მეორე მხრივ, არსებობს მტკიცებულებები, რომელიც აჩვენებს, რომ ზოგადი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გარეშე⁴, სწორედ ამიტომ, ეს უკანასკნელი განვითარების დისკურსის უმნიშვნელოვანეს კომპონენტია.

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების კრიტიკული ანალიზი საქართველოში არსებული ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე. ნაშრომის მთავარი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ *ვიწროდ ქალების გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამები არაეფექტურია, თუკი ქვეყანას არა აქვს სტრატეგიული ხედვა ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებისათვის საჭირო ვერტიკალური ინტერვენციები ეკონომიკაში გენდერულად მგრძნობიარე უნდა იყოს. ქალთა გაძლიერების პროგრამები სწორედ მსგავსი საერთო პოლიტიკის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს და არა ცალკე მდგომ ინიციატივას სახელმწიფოსა თუ დონორების მხრიდან*.

2. საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

ბარიერები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროცესში

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით საქართველოს რიგი ვალდებულებები აქვს ადებული. მაგალითად, “ევროპის სოციალური ქარტია” ავალდებულებს ქვეყანას, გაატაროს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები (მაგ. ქალთა და მამაკაცთა მიერ თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების მიღება). საქართველოს ასევე ხელი აქვს მოწერილი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის

³ ე.წ. trickle down effect, რომლის მიხედვით ქვეყანაში გაუმჯობესებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა აისახება საზოგადოების ყველა ჯგუფზე.

⁴ Women’s economic empowerment and inclusive growth: labour markets and enterprise development. DFID/IDRC. <https://www.idrc.ca/sites/default/files/sp/Documents%20EN/NK-WEE-Concept-Paper.pdf>

აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციაზე⁵ და მიერთებულია პეკინის დეკლარაციასა და პლატფორმას⁶.

ამის მიუხედავად, ქალების სოციო-ეკონომიკური სტატუსი ქვეყანაში შორსაა სასურველისაგან. კერძოდ, ქალებში დაბალია ეკონომიკური აქტიურობისა (58%) და დასაქმების (53%) მაჩვენებელი კაცების იმავე მაჩვენებლებთან შედარებით (78% და 67% შესაბამისად)⁷. გაეროს განვითარების ფონდის მიხედვით, უფრო მეტი ქალი მუშაობს სოფლის მეურნეობაში, ვიდრე მამაკაცი, ხოლო კაცები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი ინდუსტრიაში, ტრანსპორტსა და კომუნიკაციაში, ასევე, საჯარო ადმინისტრაციაში. ქალები უფრო მეტად გვევლინებიან ოჯახის დამხმარის როლში, ვიდრე დამსაქმებლად ან დაქირავებით დასაქმებულად⁸.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ უმუშევრობა ქალების შემთხვევაში (5%), კაცებთან (11%) შედარებით გაცილებით დაბალია. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია ქალების ეკონომიკური აქტიურობის დაბალი მაჩვენებლით. თუმცა, ის ასევე შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მართალია, ზოგადად ქალებს აქვთ შრომის ბაზარზე შესვლის ბარიერი, თუმცა, მაშინ, როდესაც ისინი გადალახავენ ბარიერს (ანუ ეკონომიკურად აქტიურდებიან), გაცილებით უკეთ ახერხებენ სამუშაოს პოვნას, ვიდრე მამაკაცები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებული ქალების 50% კონცენტრირებულია არაფორმალურ სექტორში, დაბალანაზღაურებად, არა-ანაზღაურებად, სეზონურ ან ატიპურ სამუშაოებზე⁹. ამდენად, რიცხვებში გამოხატული უპირატესობა (უმუშევრობის უფრო დაბალი მაჩვენებელი) ხარისხობრივ განზომილებაში შეიძლება სულაც არ იყოს უკეთესი მდგომარეობის მაჩვენებელი.

საქართველოში ბოლო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა, რომლებიც სიღრმისეულად სწავლობს ქალების გაძლიერების წინაშე არსებულ ბარიერებს. ამ კვლევების შედეგების შეჯამებით შეგვიძლია გამოვყოთ ბარიერების შემდეგი ჯგუფები:

⁵ <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/>

⁶ <http://beijing20.unwomen.org/en/about>

⁷ geostat.ge

⁸ http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf

⁹ <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/resursi/kvleebi/barriers-recommendations>

ხარვეზები შრომით კანონმდებლობაში – შრომითი კანონმდებლობა სრულად ვერ ასახავს ქალების საჭიროებებს და ვერ იცავს ქალებს გენდერული ნიშნით ძალადობისაგან. იქნება ეს დისკრიმინაცია წინასახელშეკრულებო ეტაპზე (მაგ. გასაუბრებაზე კითხვები დაოჯახების გეგმის შესახებ და ა.შ.), სამუშაო ადგილზე (მაგ. თანაბარი ანაზღაურების შესახებ მუხლების არარსებობა, სექსუალური შევიწროება) თუ შრომის ბაზრიდან დროებითი გასვლის და შემდგომი დაბრუნების დროს (მაგ. დეკრეტული შვებულების პირობები).

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა - მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეობის წახალისების პროგრამები საქართველოში ძალიან აქტუალურია, ქალები მაინც ნაკლებად სარგებლობენ ამ პროგრამებით ვიდრე მამაკაცები. მათი ჩართულობის მაჩვენებელი სახელმწიფო თუ დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებში დაბალია და ჩართულობის შემთხვევაში ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესს ვერ სცდება. როცა საქმე დიდი მოცულობის გრანტებსა და საწარმოებს ეხება, იქ ქალები საერთოდ არ ფიგურირებენ¹⁰. მიუხედავად იმისა, რომ ქალებისათვის სესხის აღებაში არავითარი სამართლებრივი ბარიერი არ არსებობს, პრაქტიკაში ქალები ამას ნაკლებად ახერხებენ, რადგან ბევრ მათგანს არ მიუწვდება ხელი მიწასა და ქონებაზე, რომელსაც სესხის ფინანსურ უზრუნველყოფად გამოიყენებდნენ. ამ პრობლემის გამო, ისინი უმეტესად მიკროსაფინანსო სესხებს იღებენ, რასაც ნაკლები უზრუნველყოფა ჭირდება. თუმცა, ეს კიდევ უფრო ამძიმებს მათ მდგომარეობას, რადგან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, როგორც წესი, უფრო ძვირ კრედიტებს გასცემენ¹¹.

სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა - სოციალურ სერვისებში პირველი რიგის პრობლემად საბავშვო ბაღებისა და ბავშვის მოვლის მომსახურებები სახელდება., გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს რეგიონების 30.8%-ის მოსახლეობას არ ჰქონდა წვდომა საბავშვო ბაღებზე¹². თუმცა, ანგარიშში ასევე მიმოხილულია სოციალური ინფრასტრუქტურის მდგომარეობაც (მაგ. წყალგაყვანილობა, გზები), რომლის გაუმართაობა ასევე პოტენციურად ზღუდავს ქალთა შესაძლებლობას, ჩაერთონ შემოსავლიან საქმიანობაში და ფინანსურად უზრუნველყონ საკუთარი თავი და ოჯახი.

¹⁰ <http://www.parliament.ge/uploads/other/86/86670.pdf>

¹¹ <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/resursi/kvlevebi/barriers-recommendations>

¹² <http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/156812/1/SoflisMeorneobisaDaAdgilobriviGanvitarbisSistemebisGenderuliShefaseba.pdf>

სტერეოტიპები განათლების სფეროს არჩევაში – საქართველოში საგანმანათლებლო დარგები გენდერულად სეგრეგირებულია. ქალი სტუდენტების რიცხოვნობა ყველაზე დაბალია სოფლის მეურნეობის პროგრამებზე, ხოლო კაცი სტუდენტებისა – განათლების პროგრამებზე. ტრადიციულად, საინჟინრო და სამშენებლო (ე.წ. STEM) დარგებზე სტუდენტთა უმეტესობა კაცია. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს კავშირ “საფარის” კვლევის მიგნება იმის თაობაზე, რომ ქალების მონაწილეობა ტრადიციულ დარგებთან შედარებით, დაბალია მაღალტექნოლოგიურ სტარტაპებში.

სტერეოტიპები დასაქმების სფეროს/პროფესიის არჩევაში – განათლების სფეროს არჩევის დროს არსებული პრაქტიკა, ბუნებრივია, ვლინდება შრომის ბაზარზეც. კერძოდ, ამის შედეგია ქართულ ბაზარზე არსებული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სეგრეგაცია¹³ - ქალები უფრო მეტად წარმოდგენილი არიან სპეციფიკურ, “ქალებისთვის მისაღებად მიჩნეულ” დარგებში და თითქმის ყველა სექტორში ისინი შედარებით დაბალ პოზიციებს იკავებენ, ვიდრე მამაკაცები.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ზემოაღნიშნული ბარიერები, საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების ანარეკლია. ამ ფონზე, შრომითი კანონმდებლობის რევიზია და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ცხადია, მნიშვნელოვანია, თუმცა მათი ეფექტი შეზღუდული იქნება, თუკი ქალები არ/ვერ გამოიყენებენ ამ სიკეთეებს კულტურული ფაქტორიდან გამომდინარე.

ქალთა გაძლიერებაზე ორიენტირებული საერთაშორისო პროგრამები

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება დიდი ხანია საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. ისეთი მსხვილი დონორები, როგორებიც არიან ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აქტიურად მუშაობენ გენდერულ თემატიკაზე. ისინი ახორციელებენ პროექტებს როგორც პირდაპირ, ისე ადგილობრივი პარტნიორების (ძირითადად არასამთავრობო სექტორის) საშუალებით.

კავშირ “საფარის” მიერ 2017 წელს ჩატარებულ კვლევაში¹⁴ შესწავლილი იყო 2006-2016 წლის განმავლობაში განხორციელებული 20 პროექტი. ანალიზის

¹³ http://css.ge/files/documents/Project%20reports/Labour_discrimination_GEO.pdf

¹⁴ <http://www.parliament.ge/uploads/other/86/86670.pdf>

შედეგად გამოვლინდა, რომ დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები შემდეგ ძირითად კატეგორიებში შეიძლება გავაერთიანოთ:

- საგანმანათლებლო კომპონენტი – ძირითადად ტრენინგები ბიზნეს უნარების განვითარებაში;
- კონსულტირების და მენტორობის პროგრამა: რომელიც ბენეფიციარებს ინდივიდუალურ დახმარებას თავაზობს ბიზნესის დაწყების პროცესში;^{[1][2][3][4][5][6][7][8][9][10][11][12][13][14][15][16][17][18][19][20][21][22][23][24][25][26][27][28][29][30][31][32][33][34][35][36][37][38][39][40][41][42][43][44][45][46][47][48][49][50][51][52][53][54][55][56][57][58][59][60][61][62][63][64][65][66][67][68][69][70][71][72][73][74][75][76][77][78][79][80][81][82][83][84][85][86][87][88][89][90][91][92][93][94][95][96][97][98][99][100]}
- საგრანტო პროგრამა – ძირითადად მცირე და საშუალო მეწარმეობის წასახალისებლად;
- ე.წ. სათემო მობილიზების კომპონენტი, რომელიც ქალების გააქტიურებას გულისხმობს ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად.

ზემოთჩამოთვლილი ინიციატივები, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა კომპონენტის სახით ერთიანდება ერთ პროექტში: მაგალითად, ხდება ბენეფიციართა ტრენინგი ბიზნეს გეგმის წერაში, მათ ენიშნებათ მენტორი და შემდეგ ყველაზე წამატებულთათვის გაიცემა გრანტი ან სესხი. ასეთი სახის პროექტები ტიპურია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორებისათვის და მათ სამიზნე ჯგუფს შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც ქალები, ისე სხვა მოწყვლადი ჯგუფები ორგანიზაციის ინტერესებიდან და მანდატიდან გამომდინარე.

მსგავსი სახის პროგრამების კრიტიკული ანალიზი ორი რაკურსით შეიძლება. პირველ, ვიწრო ჭრილში ანალიზის დროს აქცენტი კეთდება თავად პროგრამების დიზაინზე და შინაგან წინააღმდეგობებზე. თუკი ერთიანად შევხედავთ, მსგავსი ტიპის ინიციატივები მეწარმეობის განვითარებას ემსახურება, რაც მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმის გათვალისწინებით, რომ ქალი მეწარმე ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგეს საქართველოში. თუმცა აღსანიშნავია, რომ შესავალ ნაწილში მიმოხილული ბარიერები (განსაკუთრებით კაპიტალზე ხელმისაწვდომობა) მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია მსგავსი ტიპის პროგრამების ეფექტურობისათვის.

ასევე საინტერესო საკითხია ტრენინგების შინაარსი. როგორც კავშირ “საფარის” კვლევაში მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, სწავლების ძირითადი ნაწილი მოდის გენდერზე და ბიზნეს უნარებზე, თუმცა ნაკლებია აქცენტი უფრო კონკრეტულ/პროფესიულ ტრენინგებზე:

“გენდერის მიმართულებით ძალიან ბევრი ტრენინგი იყო და ეხლა მე ვისურვებდი, რომ ცოტა ნაკლები მქონოდა გენდერში და მეტი მქონოდა იმაში, რაც მეტად გამომადგებოდა პრაქტიკულ

საქმიანობაში” (საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტის ბენეფიციარი)¹⁵.

აღნიშნული ფრაზა კარგად მიანიშნებს, იმაზე, რომ მეწარმეობის ხელშეწყობისათვის არანაკლები მნიშვნელობისაა პროფესიული უნარები. ამასვე მოწმობს, იმავე კვლევაში მოყვანილი მეორე ციტატა:

“კვალიფიცირებული აგრონომი, კვალიფიცირებული ტიპი, რომელსაც კითხვას დაუსვამ და კვალიფიცირებულ პასუხს მიიღებ, იმას თავი რომ დაანებო, რომ ეხლა აიყვანო, დაიქირავო... შეიძლება ერთი იყოს და ისიც გაგლეჯაზე, ან ის ერთიც არ იყოს” (საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტის ბენეფიციარი)¹⁶.

ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი მსგავსი ტიპის პროგრამებში პროექტის მონაწილეთა შერჩევაა. როგორც წესი, არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ბენეფიციარებად შეარჩიონ საუკეთესო მონაცემების მქონე პირები, რაც გულისხმობს როგორც პიროვნულ მახასიათებლებს (მაგ. პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე), ისე სხვა ბაზისურ მონაცემებს (მაგ. გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევები). სხვაგვარად რომ ვთქვათ ხდება “გამარჯვებულების წინასწარი არჩევა” (“picking winners”), რაც, ცხადია ზრდის პროექტის წარმატების ხარისხს. ეს თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ქალები, რომლებიც ნაკლებად არიან აღჭურვილი მსგავსი უნარებით და შესაბამისად, გაცილებით უფრო მოწყვლადები არიან, რჩებიან დახმარების მიღმა.

მთავარი კითხვა მაინც ისაა, თუ რამდენად ხდება პროგრამებში ჩართული ქალების ეკონომიკური გაძლიერება. საინტერესოა, რომ *90-იანებში და 2000-იან წლებში განხორციელებული ქალთა მეწარმეობის პროგრამების ანალიზი აჩვენებს, რომ ქალები მაშინაც და ახლაც მსგავსი ტიპის საქმიანობისათვის იყენებენ საგრანტო დაფინანსებას (კავშირი “საფარი”, 2017). კერძოდ, ტიპური საწარმოები მოიცავს საცხობს, სამკერვალოს, მეფრინველეობას და ა.შ. ამდენად, ჩნდება კითხვა: რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ ეკონომიკურ გაძლიერებად ისეთი ბიზნეს საქმიანობა, რომელიც ქალს ოჯახის გამოკვების საშუალებას აძლევს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს მაგალითად მისი სამედიცინო ხარჯების დაფარვას ან მისი შვილის განათლების მიღების შესაძლებლობას? გამოდის, რომ მსგავს პროექტებს ქალების ეკონომიკური გადარჩენისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე მათი გაძლიერებისათვის.*

უფრო ფართო ჭრილში ანალიზის შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ეკონომიკურ კონტექსტზე, რის წიაღშიც ხორციელდება

15 იქვე.

16 იქვე.

ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამები. ნათელია, რომ ბენეფიციარების ტრენინგებზე და მენტორობაზე აგებული პროგრამები ე.წ. მიწოდების მხარის (supply side) პროგრამებს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი უმუშევრობის მთავარ მიზეზად სამუშაოსთვის საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობას ასახელებს. შედეგად სოციალურ პოლიტიკაში გაჩნდა “ადამიანთა დასაქმების უნარიანობის” (employability) გაუმჯობესების კონცეფცია. მსგავსი ტიპის მიდგომაში საფუძველმდებარე იდეა ის გახლავთ, რომ სიღარიბისა და უმუშევრობის დასაძლევად საკმარისია ბენეფიციარის უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესება. შესაბამისად, ის სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს ინდივიდს - მან კარგად უნდა გაყიდოს თავი შრომის ბაზარზე ან თავად შექმნას სამუშაო ადგილები (ე.წ. მეწარმეობის წახალისება).

მიწოდების მხარეზე ფოკუსირება თავისთავად არ წარმოადგენს პრობლემას, თუკი შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა ეკონომიკურ ზრდას და ღირსეული (decent) სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს. სხვა სიტყვებით, თუკი ეკონომიკაში მოთხოვნა იქმნება მაღალპროდუქტიულ და მაღალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე, სადაც შრომის ანაზღაურება და შრომის პირობები ადეკვატურია და აძლევს პიროვნებას ღირსეული ცხოვრების საშუალებას, მაშინ ცხადია, მნიშვნელოვანია მიწოდების მხარეზე ფოკუსირებული პოლიტიკის გატარება. მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი მოთხოვნის მხარეს არსებული მდგომარეობა ამის საპირისპიროა? საქართველოში ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ეკონომიკა ძირითადად სამუშაო ადგილებს დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე მომსახურების სექტორში ქმნის, სადაც ანაზღაურებაც დაბალია და სამუშაო პირობები ძალიან მძიმე (იხ. ჩანართი 1). რამდენადაა მსგავსი ტიპის სამუშაო ადგილებისათვის ქალების (ან თუნდაც კაცების) მომზადება მათი ეკონომიკური გამძლიერება?

ჩანართი 1: მოთხოვნა ქართულ შრომის ბაზარზე

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქართულ შრომის ბაზარზე ჩატარებული კვლევები ნათლად მიუთითებს, რომ ქვეყნის ეკონომიკა სამუშაო ადგილებს ძირითადად დაბალპროდუქტიულ და დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე მომსახურების სექტორში ქმნის. მაგალითად, 2009-2015 წლების მონაცემების ანალიზით გამოჩნდა, რომ კერძო სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილების უმეტესობა არ საჭიროებდა მაღალ კვალიფიკაციას (მაგ. უმაღლესი განათლების დიპლომს). იმავე კვლევის მიხედვით 2015 წელს სამუშაო ადგილების 53% შეიქმნა სპონტანურად. ეს უკანასკნელი აღნიშნავს ისეთ ადგილებს, რომელთაც დასაქმებული ქმნის თავად და რომლის შესრულებისთვისაც მას ფორმალური განათლება საერთოდ არ სჭირდება (მაგ. ტაქსის მძღოლები, გარე მოვაჭრეები და ა.შ.). დანარჩენი 27% შეიქმნა სერვის სექტორში, 16% საჯარო სექტორში, ხოლო 4% წარმოადგენდა არასასოფლო სამეურნეო თვითდასაქმებას: მეწარმეობას ან პროფესიული უნარების გამოყენებით თვითდასაქმებას (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2016).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიათა საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO) მე-4-9 ჯგუფის წარმომადგენლებს (კლერკები, დამხმარე პერსონალი, ფიზიკური მუშები, ხელოსნები და ოპერატორები) შორის უმუშევრობის მაჩვენებელი საშუალო ეროვნული უმუშევრობის დონეზე 45.7%-ით დაბალია, ხოლო სხვადასხვა ტიპის სპეციალისტ-პროფესიონალებს შორის იგივე მაჩვენებელი ეროვნულზე 20.8%-ით უფრო მეტი (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2016).

2017 წელს ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, დამსაქმებლებში მასიური მოთხოვნა კონცენტრირდება გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალზე (16.1%), ინდივიდუალური მომსახურების მუშაკებსა და დაცვის თანამშრომლებზე (7.5%), მუშებზე მშენებლობასა და წიაღისეულის მოპოვების დარგში (6%), და ასევე მძღოლებსა და ოპერატორებზე (3.8%). იმავე წელს, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ვაკანსიების მონიტორინგის კვლევის¹ შედეგად დადგინდა, რომ მსხვილი დამსაქმებლების უმეტესობა გასული ექვსი თუ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში რაოდენობრივად ყველაზე მეტ ვაკანსიას ქმნიდა ფიზიკური მუშებისათვის (ძირითადად სამშენებლო სექტორში), მიმტანებისა და ბარმენებისათვის, გაყიდვების დამხმარე პერსონალისთვის (კონსულტანტებისთვის) და სერვის სექტორის სხვა დაბალ/საშუალო კვალიფიკაციის მქონე კადრისთვის. აღსანიშნავია, ისიც, რომ მოცემული კვლევის მიზანი იყო დაედგინა რთულად შესავსები ვაკანსიები. აღმოჩნდა, რომ ზემოთდასახელებულ ვაკანსიები რთულად შესავსები იყო არა იმიტომ, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები არ მოიძებნებოდა, არამედ კადრების მაღალი დენადობის გამო, რაც მძიმე სამუშაო გრაფიკს და დაბალ ანაზღაურებას უკავშირდება.

ამ ანალიზის ფონზე ჩანს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროგრამებთან მიმართებაში მთავარი წუხილი არა მათი განხორციელების პროცესში არსებული პრობლემებია, არამედ ის პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტექსტი, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. აღნიშნული პროგრამები, ცხადია, სარგებლის მომტანია მათი უშუალო მონაწილეებისათვის, თუმცა დახასიათებული სტრუქტურული ფაქტორების გამო ისინი ვერ ახერხებენ ამინდის შეცვლას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საქმეში.

ამდენად, არგუმენტი იმისკენ იხრება, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის ქვეყანაში ეკონომიკური ფონის ცვლილებაა საჭირო, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს პრეროგატივაა. სწორედ ამიტომ, სტატიის შემდეგ ნაწილში განვიხილავ სახელმწიფოს ხედვას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების ხედვა კარგად ჩანს განვითარების ე.წ. 4-პუნქტიან გეგმაში¹⁷, რომელიც მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს წარმოადგენს და მიზნად ისახავს თავისუფლებას, სწრაფ განვითარებასა და კეთილდღეობას. აღნიშნული 4 პუნქტიდან პირველს ეკონომიკური რეფორმა წარმოადგენს, რომლის მიზანი კერძო სექტორის მაქსიმალური წახალისება და გაძლიერებაა. მართალია, სტრატეგია აღიარებს, რომ ქვეყნის განვითარება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს, თუმცა იგი ასევე აქცენტს აკეთებს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე, რომლის შედეგად შემცირდება სიღარიბე და უმუშევრობა. აქვე უნდა ითქვას, რომ შრომისა და დასაქმების პოლიტიკა, როგორც ასეთი, არ გვხვდება 4 პუნქტიან გეგმაში. უმუშევრობის პრობლემის მოგვარება წარმოდგენილია როგორც კერძო სექტორის განვითარების ავტომატურად თანმდევი პროცესი.

ოთხი პუნქტიდან მეორე განათლების სფეროს რეფორმაა. ამ შემთხვევაში მთავარი აქცენტი კერძო სექტორის მიერ შექმნილი მოთხოვნის შესაბამისი განათლების სისტემის მიღებაა, რომელიც ბაზრის საჭიროებების მიხედვით აწარმოებს სამუშაო ძალას. აღნიშნული ეხება, როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს განათლებას.

¹⁷ http://gov.ge/files/68_58446_288262_programa.pdf

ამდენად, ქვეყანა მთავარ პრიორიტეტად ისახავს კერძო სექტორის (ბიზნესის) განვითარებას და განათლების პოლიტიკას უქვემდებარებს ბაზრის მოთხოვნას. *იმის ფონზე, რომ შრომის ბაზარი უმეტესად დაბალ და საშუალო კვალიფიკაციის მქონე კადრს ითხოვს, რთული მისახვედრი არ არის, რომ განათლების პოლიტიკის ასეთი სახით მორგება კერძო სექტორის ინტერესებზე რეალურად მისი ფუნქციის შეკვეცას ნიშნავს. აქ პირველ რიგში ვგულისხმობთ იმას, რომ განათლების პოლიტიკის ფუნქცია დაიყვანება კონკრეტული უნარების მცოდნე კადრის მომზადებამდე, თუმცა, უგულებელყოფილია განათლების, როგორც კრიტიკული აზროვნების, ცოდნის მიღების, პიროვნული განვითარებისა და ინოვაციურობის უმთავრესი დანიშნულება.*

მსგავსი მიდგომა განსაკუთრებით საზიანოა ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებისათვის, რომელიც თავად ხელისუფლების გაცხადებულ პრიორიტეტს წარმოადგენს (იხ. მოგვიანებით). მეწარმეობის უნარი და ინოვაციური იდეები ნაკლები შანსია მოქალაქეებს განუვითარდეთ ისეთი საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში, რომელიც ბაზარზე დაბალ და საშუალო კვალიფიკაციებზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზეა მიმართული. აღნიშნულის ფონზე, ალბათ არ უნდა იყოს გასაკვირი, ნაშრომში ადრე მითითებული მიგნება, რომ საგრანტო პროექტებით დაფინანსებული ქალები საქართველოში 90-იანებშიც და დღესაც მსგავსი ტიპის დაბალპროდუქტიული საქმიანობით არიან დაკავებული.

ამას გარდა, მეწარმეობის წახალისების სახელმწიფო პროგრამებს (როგორცაა მაგალითად “აწარმოე საქართველოში” და “სტარტაპ საქართველო”) სხვა პრობლემებიც ახასიათებს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქალი ბენეფიციარების რაოდენობა აღნიშნულ პროგრამებში ძალიან დაბალია და საკმაოდ ჩამოუვარდება მამაკაცების რაოდენობას, განსაკუთრებით კი – ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში დაფინანსებულ პროექტებში (კავშირი “საფარი”, 2017).

თუმცა, ძირითადი პრობლემა მაინც ისაა, რომ ეს პროგრამები, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის მხარეზე არიან ორიენტირებული, ვერ ახერხებს ქვეყნის ეკონომიკის ძირეულ გარდაქმნას, იმდენად რამდენადაც არ აქვთ ვერტიკალური ფოკუსი - ანუ არ არიან მიმართული კონკრეტული

დარგის/სფეროს განვითარებაზე¹⁸. აღნიშნულის საპირისპიროდ, მთავრობა ცდილობს აწარმოოს ე.წ. ჰორიზონტალური ინდუსტრიული პოლიტიკა, ანუ მიმართავს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ყველა დარგის განვითარებისათვის – ქმნის ინსტიტუციურ საფუძვლებს, ხელს უწყობს კანონის უზენაესობას, მეწარმეობის განვითარებას და ა.შ.

ვერტიკალური მიდგომა გაცილებით მეტი დოზით გულისხმობს სტრატეგიული ხედვის არსებობას ქვეყანაში ამა თუ იმ წარმოების სექტორის განვითარების შესახებ. მისი არარსებობის ფონზე კი მეწარმეთა დასაფინანსებლად გაცემული გრანტები, უმეტეს შემთხვევაში, ისევ დაბალპროდუქტიული და დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების კვლავწარმოებას ემსახურება.

3. გამოსავლის ძიებაში

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება შეუძლებელია მხოლოდ ქალებზე ფოკუსირებული ვიწრო მასშტაბის მქონე პროგრამებით, თუკი პარალელურ რეჟიმში ქვეყანაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაცია. ცხადია, ამგვარი ტრანსფორმაცია გენდერულად მგრძობიარე უნდა იყოს. ამიტომ, დასკვნით ნაწილში ერთი მხრივ, ვსაუბრობ ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილების აუცილებლობაზე და მეორე მხრივ, აღნიშნულ პროცესში სოციალური უსაფრთხოებისა და სერვისების მნიშვნელობაზე.

სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა

საქართველოს უახლესი 15 წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ “ნაკლები ჩარევის” პრინციპის გატარებით შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილები ძირითადად დაბალპროდუქტიულ და დაბალანაზღაურებად სექტორებში იქმნება. ცხადია, რომ მსგავსი ტენდენცია შენარჩუნდება მანამ, სანამ ეკონომიკა სტრუქტურულად არ შეიცვლება - ეს ნიშნავს სამუშაო ძალის დაბალპროდუქტიული სექტორებიდან უფრო მაღალპროდუქტიულ სექტორებში გადაყვანას და პრიორიტეტად დასახული ეკონომიკური სექტორების განვითარებას. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან გაცილებით მეტ ჩარევას მოითხოვს, ვიდრე ეს “ღამის დარაჯი სახელმწიფოს” ნარატივშია მოცემული.

¹⁸ პროგრამას “აწარმოე საქართველოში” აქვს რამდენიმე დარგობრივი მიმართულება, თუმცა ეს საკმარისი არ არის იმისათვის რომ ისინი ინდუსტრიულ პოლიტიკად კვალიფიცირდეს. დეტალებისთვის იხ. <https://drodrik.scholar.harvard.edu/publications/industrial-policy-twenty-first-century>

ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია საკმაოდ რთული პროცესია საიმისოდ, რომ მარტივი რეცეპტის გაწერა იყოს შესაძლებელი. თუმცა, არსებული გამოცდილება აჩვენებს, რომ იგი უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან ვერტიკალური ინდუსტრიული პოლიტიკის წარმოებასთან ¹⁹. სწორედ ასეთი გზით გადავიდნენ განვითარებული ქვეყნების ლიგაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამხრეთ აზიის განვითარებული ეკონომიკები.

მსგავსი სახის ეკონომიკური განვითარების ლოგიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესს უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ძალის წარმოებით და ახალი სამუშაო ადგილების შექმნით. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა (პასიური პოლიტიკისაგან განსხვავებით, რომელიც უმუშევრებისთვის ბენეფიტის გაცემას გულისხმობს), ორიენტირებულია ისეთი პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც აბრუნებს უმუშევარს შრომის ბაზარზე (მაგ. რეკვალიფიკაცია, სამუშაო ადგილების სუბსიდირება, თვითდასაქმების ხელშეწყობა და ა.შ.).

ამას გარდა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით ²⁰ მაქსიმალური ეფექტურობისათვის შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა უნდა ხორციელდებოდეს მასზე მორგებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში. ეს უკანასკნელი, მაგალითად გულისხმობს იმას, რომ აქცენტი გაკეთდეს არა ნებისმიერი სახის, არამედ მაღალი პროდუქტიულობის დარგის განმავითარებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვაზე, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს შესაბამისი კვალიფიციური კადრის მომზადებას. ეს მცირე მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისათვის საჭიროა ეკონომიკური, შრომისა და დასაქმების და განათლების სფეროების ურთიერთდაკავშირებული რეფორმა. მეწარმეობის წახალისება აღნიშნული რეფორმის მხოლოდ ერთი (და არა ერთადერთი) კომპონენტი შეიძლება იყოს.

სოციალური უსაფრთხოებისა და სერვისების მნიშვნელობა

¹⁹ <https://drodrik.scholar.harvard.edu/publications/industrial-policy-twenty-first-century>

²⁰ https://www.ilo.org/ilc/ILCSessions/103/reports/reports-to-the-conference/WCMS_240032/lang-en/index.htm

როგორც შესავალში უკვე ითქვა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის. იმდენად, რამდენადაც შრომის ბაზარზე შესასვლელად ქალებს დამატებითი ბარიერები ხვდებათ, ვიდრე კაცებს (საოჯახო პასუხისმგებლობები). ამ პრობლემის მოგვარებისთვის უმნიშვნელოვანესია სოციალური სერვისებისა და ზოგადად სოციალური უსაფრთხოების ბადის არსებობა ქვეყანაში.

სოციალური სერვისებიდან ტრადიციულად პირველი რიგის აუცილებლობად სახელდება ბავშვზე ზრუნვის სერვისი. როგორც შესავალში იყო ნახსენები, საბავშვო ბაღები და ბავშვზე ზრუნვის სერვისებზე წვდომა საკმაოდ შეზღუდულია, განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრები ქალებისათვის. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ზოგადად ვისაუბროთ იმაზე, რომ ქალის ზრუნვითი ვალდებულებები ოჯახს შიგნით მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და ხანდაზმულებზე ზრუნვაც მის სოციალურ პასუხისმგებლობად განისაზღვრება. ცხადია, ეს დამატებითი ბარიერია ეკონომიკურ საქმიანობაში ჩასართავად. საბავშვო ბაღებისაგან განსხვავებით კი, ხანდაზმულებზე ზრუნვის დაწესებულებები საქართველოში ნაკლებადაა ხელმისაწვდომი.

პირადი და პროფესიული ცხოვრების შეთავსების საკითხში მნიშვნელოვანია ასევე ისეთი შრომითი ურთიერთობების არსებობა, რომელიც საშუალებას აძლევს მშობელს, ისარგებლოს მოქნილი სამუშაო გრაფიკით, იმუშაოს ნახევარ განაკვეთზე ან სამუშაოს გარკვეული პერიოდი იმუშაოს შინ. თუმცა, *ასეთი სახით მუშაობა აუცილებელია კარგად რეგულირებული და დაცული იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ქალები კიდევ უფრო მეტად გახდნენ შრომითი ექსპლუატაციისა და პრეკარული შრომის მსხვერპლნი*. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ტიპის მოქნილი სამუშაო განრიგი არსებობდეს მამაკაცებისთვისაც, რაც შესაძლებელს გახდის საოჯახო შრომის უფრო თანაბარ/სამართლიან განაწილებას.

როგორც წესი, ქალთა გაძლიერებაზე საუბრის დროს დისკუსია ზრუნვის სერვისებზე შორს არ მიდის. თუმცა ფაქტია, რომ ქვეყანაში არსებული სოციალური პოლიტიკა ყველა თავისი ასპექტით ახდენს გავლენას ქალის ეკონომიკურ გააქტიურებაზე. ამდენად, გენდერული ასპექტი ასევე გასათვალისწინებელია სოციალური პოლიტიკის სხვა სფეროებშიც. მაგალითად, საქართველოში მნიშვნელოვანია დაგროვებით საპენსიო

სისტემაზე გადასვლის გენდერულ ჭრილში ანალიზი. იმდენად, რამდენადაც ქალებში ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების დონე გაცილებით დაბალია კაცებთან შედარებით, გამოდის, რომ მათი დიდი ნაწილი ვერ მოახერხებს აღნიშნულ სქემაში სრულად ჩართვას. მსგავსი მიდგომა კიდევ უფრო დაამძიმებს ქალთა გარკვეული ნაწილის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას საპენსიო ასაკში.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ქალებმა შეძლონ პირადი და პროფესიული ცხოვრების შეთავსება, იმ მოცემულობით, რომ ქვეყანაში შექმნილი კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობა მისცემთ მათ “ღირსეული” დასაქმების შესაძლებლობას.